ცნობა

ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტები განთავსდა საკრებულოს ვებგვერდზე (https://tsalenjikha.gov.ge/)და საინფორმაციო დაფაზე, ამასთან განსახილველად გადაეცა საკრებულოს წევრებს, კომისიებსა და ფრაქციებს.

საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომები გაიმართება შემდეგი გრაფიკით:
1.საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა, სოციალურ საკითხთა და სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა-
-2023 წლის 16 ნოემბერი: დასაწყ. 11:00 საათი. ამასთან სხდომაზე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსალოდნელი ხარჯების დეტალური განხილვა.

2.სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა და ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა,
-2023 წლის 20 ნოემბერი, დასაწყ. 11:00 საათი. ამასთან სხდომაზე დაგეგმილია ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა“ და ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის“ 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსალოდნელი ხარჯების დეტალური განხილვა .

3.ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის სხდომა-
2023 წლის 22 ნოემბერი 11 საათი;

4. ფრაქცია „ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“-
2023 წლის 22 ნოემბერი 12 საათზე;

5. ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“-
2023 წლის 22 ნოემბერი 14 საათზე;

6. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა-
2023 წლის 24 ნოემბერი 11:00 საათი;

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნის, საკრებულოს სხვა კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების, მოქალაქეების წინადადებების, შენიშვნებისა და შეფასებების წარმოდგენა საკრებულოს აპარატში უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მ/წლის 25 ნოემბერისა. (მის.ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. N5 აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია. **ტ. 599 85 71 02**).

საკრებულოს სხდომა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ გაიმართება 2023 წლის დეკემბრის თვეში (თარიღზე ინფორმაცია გამოქვეყნდება დამატებით).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი